ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. კუტიანი

ISSN 0132-6015

15

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

1988

ᲪᲘᲪᲐᲜᲐᲗᲚᲘ

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

კომბინაციორის ანბანური მიმოიხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარიდა

ფულს ვიშოვი დილიდან,
მოვაგელვებ თვითმფრინავს,
შავ „მერსედესს“ შამფურებად დავშლი!..
არ ვიკადრებ რესტორანს,
ზარებსა და სარდაფებს,
ზედ მთვარეზე მეფურ სუფრას გავშლი!..

როცა სევდა მაგიჟებს,
შემოვიკრებ ძმა-ბიჭებს,
საფერავით გავალალებ ჯამებს!..
ჩემთვის უცხო სამართალს,
ქვეყანაზე სანამ ვარ,
მირჩევნია ოქროს ჭურში ჩავძვრე!

წყეულ გამომძიებელს
სანამ გავახსენდები,
სანამ ქვეყნად ფულის შოვნას მაცლის,
გულზე ხელს არ დავიკრებ,
ლომის წილს არ დავიკლებ,
ასე მესმის მე გარდაქმნის მადლი!

წყეულ გამომძიებელს
სანამ გავახსენდები,
სანამ ქვეყნად ფულის შოვნას მაცლის,
გულზე ხელს არ დავიკრებ,
ლომის წილს არ დავიკლებ! —
ასე მესმის მე გარდაქმნის მადლი!

კოლექცია მოვჩანგლე
ბრილიანტის, ალმასის,
ჩემს ვიდეოს თანამგზავრზე ჩავრთავ!..
არ მჭირდება ექიმი,
ვერ მიშველის ვექილიც,
ვიცი, ბოლოს მილიცია ჩამსვამს!

სულ გრიალით ვიცხოვრებ,
სასახლეც მაქვს, იცოდეთ,
ვენაცვალე ქვეყნად ფულის გამჩენს!..
კოდექსით ნუ მაშინებთ,
თუ ციხეში გამიშვებთ,
მშობლიური მილიცია მარჩენს!

გაგო ხვედელიძე
(საჩხერის რაიონი, სოფელი ბაჯითი)

ნახ. გ. ლომიძისა

ვინ როგორ უვლის ნარგავებს!..

სერგოს ორკესტრი

ასე ვეძახით **ქუთაისის ნინოშვილის ქუჩის მე-12 და მე-14 შესახვევის მცხოვრებლები ამავე შესახვევის №20 სახლში მობინადრე ტაქსის მძღოლის სერგო ხონელიძის** საქონლის ნახირს, რომელიც დაახლოებით 30-მდე სულს ითვლის და სერგოს მორიგეობის დროს (ოჯახში მარტო ცხოვრობს) სხვადასხვა ხმით, ბღავილით მოუხმობს თავის მამასა და მარჩენალს სერგოს!..

რა სახელი არ ჰქვია სერგოს ძროხებს, ხარებს, მოზვრებს, დეკეულებს, ხბოებს: ლამაზო, ნიკორა, ვარდისა, ჩალისა, თივისა, პელე და, ვის შეუძლია დაიხსომოს ამდენი სახელი, რამდენიც მისი საქონელია? მაგრამ პელეს „ნათლობის" ამბავს მოგახსენებთ: ჩვენი შესახვევის დასავლეთით „ტორპედოს" ცენტრალური სტადიონი მდებარეობს და ერთ მშვენიერ დღეს ერთ-ერთმა ძროხამ სტადიონზე იმშობიარა, დაბადა თვალებხატულა ხბო!.. ჰოდა, მიუხედავად მისი მდედრობითობისა, სახელად „პელე" დაარქვეს. დღეს „პელე" უკვე მრავალშვილიანი დედაა. მდედრობითობას რა მნიშვნელობა აქვს სახელისათვის, ქალთა ფეხბურთიც ხომ არსებობს?

რაც შეეხება ნახირის რაოდენობას, შეიძლება მეტი იყოს ან შეიძლება რამდენიმე ერთეულით ნაკლები, მაგრამ ზუსტად რაოდენობას მენახირე არ ამხელს, ეზო კი მიუვალია ყველა მომსვლელი ცნობისმოყვარისათვის, ჭიშკარი ჩაკეტილი აქვს და შიგ არავის უშვებს!..

ოციოდე წელია ნახირს აგროვებს სერგო და არ ყოფილა არც ერთი ბედნიერი დღე, რომ საქონლის ნეხვი გაეტანოს ეზოდან. ამიტომ დგას რამდენიმე მეტრი სიმაღლის ნეხვის მთა, რომელიც მჭიდროდ დასახლებულ უბანში საშინელ სუნს აყენებს, ეხვევა მწვანედ მოელვარე მსხვილი ბუზები, ხოჭოები, ვირთხები, ქვეწარმავლები!.. შეუძლებელია ცხოვრება ამ უბანში, ვეღარც სახლის კარებს ვაღებთ ბუზებისა და ქვეწარმავლების შიშით და ჰერმეტულად დახურულ სახლებშიც ვერ ვიძინებთ ვირთხების შიშით, რომლებმაც კარგა ხანია გამოთხარეს ჩვენი სახლების საფუძვლები და გვემუქრებიან ცხვირპირის მოჭმითა და ყელის გამოჭმით!.. ბოტკინის „სიკეთე" უკვე იგემა რამდენიმე ოჯახმა, ახლა კი ველოდებით ქოლერას, რომელიც, ალბათ, მუსრს გაგვავლებს მთლიანად!..

ვის არ მივმართეთ, ვინ არ შევაწუხეთ, მაგრამ მენახირემ ყველგან „გამონახა გზები", გაუშვა ისინი „დაპირებებით", ჩვენ სადაცაა დავიხოცებით, სერგო კი ცინიკურად დგას: იცინის, იცინის, კვდება სიცილით!..

სერგოს მეტყველი მეზობლები



ნახ. მ. აბაშიძისა

— ნახე, რამდენი ადგილი გათავისუფლდა!.. მივხედოთ ახლა საქმეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ᲙᲠᲔᲑᲐ გარდაქმნის თაობაზე ჩვენს ქარხანაშიც ჩატარდა.

— ამხანაგებო! — ჩავახველე და დავიწყე, — ჩვენი ქარხანა ამზადებს გემის დეტალებს. ყველას კარგად მოგეხსენებათ, მსოფლიო ზღვაოსნობის ისტორიაში რა დიდი ადგილი უჭირავს „ნეპტუნის ფოსტას“!..

— სად „ნეპტუნის ფოსტა“ და სად გემის დეტალების დამზადება?!. „ნეპტუნის ფოსტას“ ზღვაში ჩაგდებულ თავდაცობილ ბოთლს ეძახიან! — დამიძახა დარბაზიდან დარაჯმა. ხელში ახალი გაზეთი ეჭირა.

— კარგია, რომ იცით! — ვუპასუხე მე,—მაგრამ ის თუ იცით, რა მძიმე და უსიამოვნო მისია აკისრია ამ უპრიმიტიულეს საშუალებას?

— ვიცით! — დაიძახა დამხარისხებელი საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელმა, — ინგლისში ერთმა მებადურმა წყალში მოტივტივე ბოთლი რომ ნახა, მერე სულმა რომ წასძლია, გატეხა და ჩამოახრჩეს, რადგან მასში ინგლისის დედოფლის ელისაბედ პირველის სახელზე გაგზავნილი საიდუმლო პერგამენტი აღმოჩნდა.

— კარგია, რომ ესეც იცით! — ვთქვი მე, — მაგრამ ის თუ იცით, მსგავსი შემთხვევა რომ არ განმეორებულიყო, ინგლისის სამეფო კარმა შემოიღო ახალი თანამდებობა — „ოკეანეში ნაპოვნი ბოთლების პირველი გამხსნელი ლორდი“.

— ვიცით! — მიპასუხა მთავარმა წუნმდებელმა, — ეს ყოვლად უაზრო თანამდებობა ინგლისის მეფის კარს ორ-ნახევარი საუკუნის მანძილზე შემორჩა და მხოლოდ მე-18 საუკუნის მიწურულს გაუქმდა.

— თავს ნებას მივცემ და ერთ რამეს კიდევ შეგეკითხებით!..

— ამხანაგო! — დამიძახა ვიღაცამ, — მაგი სიტყვაა თუ კითხვა-პასუხის საღამო?

— აცალეთ! — ჩააჩუმეს იგი.

— შეგვეკითხე! — შევიდა ვიღაც პასუხის გაცემის ეშხში.

— რა თქვით, როგორი თანამდებობა იყო ის? — ვიკითხე მე.

— უაზრო! — აღრიალდა დარბაზი.

— ჰოდა, რამდენი მსგავსი უაზრო თანამდებობაა ჩვენს ქარხანაში?

— ბევრი!

— მაინც?

— მაგას ვინ ჩამოთვლის!

— გაბერილ შტატებზე ბევრი თქმულა, მაგრამ არასოდეს არაფერი არ გაკეთებულა! მართალი ვარ?

— მართალი ხარ, ამხანაგო! — გამამხნევა საკისრების საამქროს უფროსის მოადგილემ.

— ის გაბერილი შტატები, — ვთქვი მე, — სხვა რა არის, თუ არა ეგრეთ წოდებული „შეწერილი თანამშრომლები“?

— სწორია! — დაიძახეს აქეთ-იქიდან, — ძალიან მომრავლდნენ დირექტორის კაცები!

— დიახ, ამხანაგებო, — განვაგრძე მე, — მათ ვერაფერს დაავალებ. ასეთი ხალხი, დამეთანხმებით, სამსახურში მხოლოდ ხელფასის ასაღებად დადის. ზოგი ამასაც არ კადრულობს და ხელფასს შინ ვუგზავნით. რომ მოვლენ, უნდა მოეფერო, ორყბად თუ ვერ შეძლებ, ცალყბად მაინც უნდა შეძლო გაღიმება. არ უნდა გაუტეხო სარკე, არ უნდა აუკრძალო ქსოვა, ყავის სმა, ჭორაობა, თორემ ვიღაცას ავად ეგონები და, ერთი მწერლისა არ იყოს, სიცხეს გაგიზომავენ!.. გარდაქმნა მაგათ არ ეხებათ, ჩვენ გვეხება, ვინც ვმუშაობთ!..

— ეგ უკვე ლაილაია, საქმეზე ილაპარაკე! — განაწყენდა ვიღაცა.

დამცხა. მაინც არ მოვეშვი, სათქმელი ვთქვი.

— ამიტომ ჩემი წინადადებაა: მოვხსნათ დირექტორი და ეს მუქთახორებიც თან გავაყოლოთ თავიანთი მშვიდი და უდარდელი ცხოვრებით!

— ამხანაგო, ჩამოდი ძირს, სანამ ძალით ჩამოუყვანიხართ მაქედან! — მომესმა იგივე ხმა.

— საქმე მარტო ჩარხების შეცვლაში არაა, ამხანაგებო! — განვაგრძე მე, თან შუბლზე გამოსასვლელი ოფლი კბილებში გამომდიოდა, — უქნარები და მუქთახორები ჩარხებს ვერ შეცვლიან!

— რას იტყვის კომუნისტი დირექტორი!? — დაიძახა პარტორგანიზაციის მდივანმა.

დირექტორი მხრებში აიწურა.

— ეგ იმის კაცი არაა, განცხადება თავისით დაწეროს! — ვთქვი მე.

დარბაზი გაისუსა.

ბუზს სად ნახავ ჩვენს დალოცვილ ქარხანაში, თორემ გაფრინდებოდა და ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი!..

ეს კი ვთქვი, — ვფიქრობდი გულში, — მაგრამ როგორ გინდა იმუშაო ხვალ, ზეგ, მაზეგ?..

ტრიბუნიდან წელმოწყვეტილი ჩამოვედი.

ჩემი წინადადება ერთხმად გავიდა. დირექტორი მთავარ ინჟინრად ჩამოაქვეითეს, მთავარი ინჟინერი დირექტორად დაანინაურეს.

მე ჯერ ვმუშაობ!..

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲝᲡᲔᲤᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ითამარ ითამარეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთის სიმღერა

ვენაცვალე არაყს, ღვინოს, —
მახალისებს, მაბრუებს!..
მისი ძალა ქვევრს კი არა,
დედამინას აბრუებს!..
ღვინოს რომ ვსვამ, ფრთამალი
ვარ,
თითქმის ღმერთსაც მადრიან,
მუდამ რომ ვარ მხიარული,
ესეც ღვინის მადლია!
როცა ბავშვი იბადება,
მასაც ღვინით ლოცავენ!
კაცი კვდება... ისევ ღვინით
აცილებენ, მოთქვამენ!..
ღვინო!.. ღვინო! —
ეს ბახუსის სითხე —
სამკურნალოაო, —
ექიმებმა მითხრეს!



მინდა ბევრი, ბევრი ვსვა და
კარგად მოვილხინო!..
აზრს მირევს და ცხვირს
მიწითლებს,
მეტი რა ქნას ღვინომ?

მოდის მატარებელი!..

მოდის მატარებელი,
გულის გამხარებელი!..
(მე არა ვარ დღეიდან
მასთან გამკარებელი!).
ერთ ადგილზე ბილეთი
ორჯერ გაუყიდიათ!..
გამცილებლის კარებთან
უსაშველო რიგია!..
არის ჩხუბი, ყვირილი,
მუქარა და დებოში!..
ლამის მატარებელი
ჩააყენონ დეპოში!..
ბილეთების შოვნა ნუ,
ნუ გგონიათ ადვილი!..
ვაგონში კი მუდამ აქვთ
ცარიელი ადგილი!
ენაწასაჭრელია
ამ სიმღერის მქებელი:
„მოდის მატარებელი,
გულის გამხარებელი!“

მოდაშია!..

გუშინ ეკას მოუტანეს
ერთი ყუთი „პედრო“.
იცოხნება, სახეს მანჭავს,
კივის: „რეტრო!“, „რეტრო“!..
დაფაცურდნენ მეგობრები,
დადგნენ ყირამალა,
და ცეკვის დროს გაებზარა
ეკას ოთხი მალა!..
არის ყავა, კონიაკი,
შოკოლადი, ჟელე...
ენევიან „მარლბოროს“ და
თან იფშვნეტენ ხელებს.
მერე რთავენ ვიდეოს და
არის რია-რია
და ფილმების ყურების დროს
კარი დარჩათ ღიად!..
შემოცვივდნენ დედა, მამა
და მეზობლის ბავშვი.
ოთახი სულ დახუთულა
სიგარეტის კვამლში!..
ეკამ ერთი შეიკივლა
და კარატეს სტილში
მამას ფეხი აუქნია
უმალ მუხლის ძირში.
დედას გული შეუღონდა
შვილის საქციელზე,
სასწრაფომ ძლივს მოიყვანა
საცოდავი ფერზე!..
ეკა ყვირის: „ეგ მაკლია,
თქვენც აქ გამეჭიმოთ!..
ვიდეო და სიგარეტი

მოდაშია, სიმონ!
აქედანვე მოტყდით ახლა,
თუ გსურთ არ დაგშოკოთ!..
ამდენ ბაზარს მირჩევნია
კონო, შამპო, შოკო!“

ცოლი

თუმცა სხვადასხვა
სახელი ჰქვია,
მაგრამ ცოლი ხომ
ერთია ყველა! —
დილას მოღრუბლავს
ლამაზს და მზიანს,
ბუმბერაზს გაგხდის
ჭინჭველის ხელას!
რომ ჩასვა თავითო
ფეხებამდისა
ბრილიანტებში,
ოქროს აუზში,
გინდ აიყვანო
მაღლა ცამდისა,
დღეს დაგიღამებს
აურზაურში!..
ვინც გინდა იყო,
რაც გინდა იყო, —
ცას აბჯენილი,
რკინის მკვნეტელი, —
ეცადე, ცოლმა
არ გაგაბრიყვოს,
ის ეშმაკია
და შორსმჭვრეტელი!
გინდ აუშენე
კოშკი ოცნების,

გინდ აუშენე
კოშკები ბროლის,
ენით, თვისებით,
აზრით, მოძღვრებით
ერთნაირია
სუყველა ცოლი!

ფული და „კაიბიჭობა“

ფული ჯოჯოხეთს ანათებს,
ფული ჯადოა, თილისმა,
ხშირად — ნერვების მომშლელი,
დამაფრთხობელი ძილისა!..
ფული ხომ ხელის ჭუჭყია,
მაგრამ არსებობს საპონი,
უფულოდ ყოფნა ფუჭია,
თან უყვარს კარგი პატრონი!
ფულის დათვლა და შენახვა
უზარმაზარი ნიჭია!

ხალხში იციან ხშირად თქმა:
„ფული აქვს, კარგი ბიჭია!“
ფულით იძენენ ძმაკაცებს,
მას იყენებენ თავდებად!..
ფული რომ გამოელევათ,
„კაიბიჭობაც“ თავდება!

წყალი საბურთალოზე

საბურთალოზე ქარმა დაბერა,
მტვერით ამევსო თავი!..
ფეხით ავედი მერვე სართულზე,
მაგრამ წასულა წყალი!..
აქეთ შხაპს ვეცი, ვიმარჯვებ
„შამპუნს“,
წყალი კი არ ჩანს არსად!..
ყურში ჩამესმის: „ვაი შენს
პატრონს,
ნეტავი ვინ დაგთარსა?!“
ზემოთ, ბინიდან ისმის გინება: —
„ვაი, დამეწვა თვალი!..“
მეზობელს თავი რომ გაუსაპნავს,
კი გაპარულა წყალი!..
დეიდა მარო ტელეფონს ეცა
წყლის მოლოდინის ფიქრში,
ჭიჭიკოს ძმები „ხორუმს“
ცეკვავენ
თავგასაპნული რიგში!..
„ნეტავი როდის დაგვიდგამ იმ
ბაკს?“ —
მიყვირის ცოლი მწყრალი!..
საბურთალოზე ძალიან ხშირად
სანატრელია წყალი!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

უმოლოგიური ძიებანი

ეროდია

ეგ ი8 მეცნიერია უმეცრებზე უმეცრეს რიგებს ჯაჯგურები, რომლებსაც მტკიცედ სჯერათ და ებმა თავიანთ ხაბრიმებში შესანიშნავად აჩვენებენ, რომ მსოფლიოს ცივილიზაციის აკვანი საქართველოა, რომ ჩვენგან ნაპოდი და მსოფლიოს ყველა კეთილს მოიგებნა არა მარტო კულტურის უმთავრესი ღირებულებანი, არამედ წერილნი, მოკულტურო ელემენტებიც. თუმცა ჩვენნი, საქართველოში მე და ჩემისთანა თითო-ორორა პატრიოტ ქკალეკვარს ათვალწუნებენთ ეგეთ ეროვნებენ (რა თქმა უნდა, შურის გამო, მაგრამ, მაფლობა ღმერთს, ტაბის დამკერელებე გვყავს), სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული ქკლეკ ალგვაზნებს, რათა შეუპოვრად გაგაჩრქელოთ ჩვენი საკეთვალიანი სამშობლო-ამ დარეგნი და დაუფიქნოთ ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ, გერმანელ და სხვა ერებს, შეიცნონ თავიანთი ამა თუ იმ კულტურული მოელენის არსი და ნარმრამეალობა. უფრო გარკვევით რომ ეთქვათ, საქართველოდან მათი შეძენა. ამჯერად საუბარი გვექნება ორ საკითხზე.

1. კოლ2ჯი, კოლ2ეი

ალამდ ა ერორ ლ ი, უფოვმანდ მგალოფა, რომ ეკრარსის, ესიის, ალ ერ, ამერკოსა და ნან�ბრივ ალაბრალის ქვეყნებში სნაკვა-განათება საკართველოდან შეეფდა, მაგრამ ერთია რნმენა და მეორე — მისი მეცნიერული დამტკიცება. და ინ, საკმარისი იყო, თბილისდან სამოგიოდ კილომეტრზე ქარაფის ერი პატარა სოფელში, ქვემო ჭალაში, სამეიხო ბილს საქმელად ნავსულიყავი, რომ ამ დდ საერთაშორისო პროტეტანაა სამოლოდ ალხადა ფარდა.

ყველას, ქართველს თუ არაქართველს, ყურმოკაერით თუ თვალხილულად უყვნო სიტყვაა ლეენსოკონდან მაინც მოეხსენებინა, რომ **კ ო ლ 2 ჯ ი** აქეთ, ინგალისსა და ეიეთ, ამერიკის მეერთეებეთ ბეტატეში უმალლეს ან სამეფალო, ხოლო **კ ო ლ 2 ე ი** საერანგეთ? ბელგიისა და ზვეიცარიაში საშუალო სასნავლებელს ეწეა. საიდან ნარმოდგება ეს სახელნოდებანი?

ქვემო ჭალაში, როდესაც ხუთი ბლის ხე მოვიარეთ და ითერი, შავი, ქართული და გოგრა ბლთ კარგად დავნაყარეთი, პატარა მდინარის პირას ჩერაში ნამოფენეთ და ადვილად გაგვიგებს მკითხველი, როგორ დაგვეუფლებოდა პატრიოტული ენთუსიაზმი ეს ოლოდაფი ბმბა-ბაბაბთა სისხლით მორწყულ ქართულ ბოსს, ბიგ მშვენებასა და სინოფერეს. ეტყობოდი, ამეკარი განნყობილებს გაღვიებაში განსაკუთრებული ალიმფოლს მომ-

ცემი იყო ქართული ბალი. ბეეჩყერ დაეუტკბიეარ, მაგრამ ვერ ეიტყვი, როდესაც ეს მოიმოქმედეს ალიქმელიქ ბალს.

ამგვარ ნიტარებაში ვიყავი, უცაც რემმა მასპინძელმა სიტყვა **კ ო ლ 2 ე ი** რომ ახსენა. ბეერი გამოკითხვის შემდეგ მან ამიხსნა, რომ აქ **კ ო ლ 2 ე ი** ოფრმე პატარა მდინარეს აქამდე გამხელას ვერ ებედავდი, მაგრამ შინაგანად კარგად ვგრძნობდი, რომ ეს პატარა სოფელი — ქვეყნი ძალა, რომელსაც ერი მხრიდან სამოგიესის დიდებული ტაძარი სდარაზოს, ხოლო მეორე მხრიდან სხვილს ციხე თავს გადმოპყურებს, დიდი კულტურული მაგნის მფლობელი ფუნდა ყოფილიყო ვერნნობდი და ნინაოგრმნობაც გამიმართლდა!

კ ო ლ 2 ე ი — ეს ხომ იგივე **კ ო ლ 2 ჯ ი**!

ბაბ, დაუკვირდეთ, ბეერფანო მკითხველნ! ხომ! თქვენ ეგანაც ნინომეკილ ავტობიოგრ. ფიდან კარგად მოგეხსენებთან, რომ ძველად პატარებს წერა-კითხვის სნავლებას მდინარის პირას ანეკინნებდნენ: ნაადნი ჩაადენებდნენ — ნყალიანთ კითხვა ეცოდინებამ. რასაკვირველია, ამისათვის პატარა მდინარეს ჭიპარეთავდნენ, ანა, დიდ მდინარეში რა უნდოდათ სნავლის გულისთვის ხომ არ დაანარონდენ შვილს?! ეს პატარა მდინარე კი **კ ო ლ 2 ე ი** იყო.

მამსაადამე პირველი სნავლა-განათლების ადგილი **კ ო ლ 2 ე ი** ყოფილა. რაკი საკითხავია, შემდგომ ეიდნინ ხრდასთან ერთად ამ სიტყვის მნიშვნელობაც გაიზარდა, გაფართოვდა ფა, საერთოდ, სასნავლებელს **კ ო ლ 2 ე ი** დარქმა.

როდესაც ძველად ბერნები და ეკერსპელები ჩვენში მოეფრნენ და ოყროს სანმისი გაიტანეს, ბუნებრივია, მათ ზელს გააყოლეს კაკლის ხეებიც და სნავლა-განათლებაც თავისი სახელნოდებით — **კ ო ლ 2 ე ი**. ვინაიდან მათ ჭ ბაერა არა აქვთ, იგი შეეფალეს მისი ფანერილობის მსგავსი **ჯ** და **ჭ** ბგერებით. რ კი ეინე ენთიმენერებაში ოდნავ ჩაბედფალა, კარგად იცის, ასიმილაციის თუ დისიმილაციის ბუნი გადაკეთდება ლ-ად.

ასე და ამრიგად, საქართველოდან ნაალბული **კ ო ლ 2 ე ი** ეკრარსელად გადაკეთდა **კ ო ლ 2 ჯ ი** და **კ ო ლ 2 ე ი**.

სამნეხაროდ, შემდგომ, როდესაც ქართველებს სხვა კულტურული ალმაფრნენები მოგვეძალა, სიტყვა **კ ო ლ 2 ე ი** და მისი გადატანილი მნიშვნელობა დაგვავიწყდა, იმდენად, რომ ფიდეს ლექსიკონებშიც ვეღარ შეხვდებით მას და მისი ხსოვნა ჯეერჯერობით ქართველის ერთი პატარა სოფლის ანაბარად არის მიტოვებული.

ნუ დაუკარგავთ მსოფლიოს ამ სიტყვის!

2. ბ ა ბ ა ი ნ ი ნ ი ნ ი

ბ ა ს შ ე მ ბ ე ბ ე, რაც გავარკვიეთ ეკროპელი და მსოფლიო კულტურის ძირები, ჩვენი ვალია, გამოვიძიოთ ხსენებული ქვეყნების ადგილობრივი ნარმოშობის კულტურის თუ ფოფა-ცხოვრების მოდელენები.

სიტყვის ალარ გვეგარმეცლებ, ეს ისეთი საფოველთაოდ თვალსაფიელია, როგორ შემოგდა მოდად ჩვენს სუფრასა და მაღაზიებში სოყო, კერძად, ქამასოყო, რომელსაც ეროპელად ეს სხვა ენებზეც **ბ ა ბ ა ი ნ ი ნ ი** ეწოდება.

ეინე სოყოს ტრფიალი არის და მის საძებრად ფეი დაუსვლეფია, ადგილად დაეთანხმება ქვემოთ ნარმოდგენილ არგუმენტს:

ჩვენ, სოყოზე მონაფარე თბილისელები, სოყოს საძებრად დაეფიარო თბილისის შემოგარენში — ეუსა და ლისის ტბასა, ზენეთისა და ბანგალისს ტერიტორიებზე. მოგეხსენებათ, ეს ადგილები იმ თბილისელთა დასასვენებელი ადგილებიცაა, რომლებსაც დამიზნებულ თოფზე უფრო ემნინთ სოყოსი და მისკენ თვალი მხლოდ ზიზღით თუ ნაუვათ. სამაგიეროდ მათ შაბათ-კვირას ალნინეულ ადგილებში ბლთმად მიაქვთ სამნვადე ხორცი, ყველი, კოტრი, ამმფორი, კვერსებები... და, რაც მთავარია, — შამპანურები.

„ნაშინი ჩვენი დიდებისა" ისტორიის მაბძილზე ბეერი აღგვილ პირისაგან მინინა, მაგრამ თბილისელ დარბაისელთ მოქალაქეთა სამაბათკვირაო ხასადილეეეი თუ ნაქეიფაფრი თვეებსა თვეებსა და ზეეებიდან ზეეებს ადადეეეა. აქ შეერეოა ხოლმნსობა სუფ ან ანის საჭირო, ეერთბაშად შეგიძინოთ დაადგინოთ, ამა თუ იმ ადგილეს რამდენ კაცს „უეაბინა პური" და რა მიორნიშეეეთ. უეხვად რჩებათ კიტრის, პამიდორის, ვაშლის, მსხლის ნაფცეკვენები, კვერცხის ნაჭეეეი, მთელი პურები... ქაღალდები, ცელოფანის პარკები, ბოთლები და, რაც მთავარია, შამპანურის ბოთლები და ხაკოპები.

ამის შემდეგ ნარმოიდგინეთ, მკითხველო, ამ ადგილებში დადიან ქორწილებ მხედველი სოყოს მოყვარულები. ან, ერთმა თვალი მოპკრა თეთრად განაბული ქამასოყოს. ხუთ-ათ ნაბიჯინი ნახტომი და... ხელში შემორჩა ქაღალდის ნაგლეეეი, კვერცხის ნაჭეეეი, შამპანურის საცობი და ასე შემდეგ, შორიდან და ახლოდანაც ასე რომ ჰგავს ქამასოყოს!

თუ გავითვალისწინებთ იმასა, რომ საფრანგეთი შამპანურის სამშობლოა, ხოლო შამპანურო დიდხანს ძლებს და მისი ბოთლის თეთრი პლასტმასის თავსახურო ძალიან ჰგავს ქამასოყოს, ადვილი მისახვედრი იქნება ქამასოყოს ფრანგული სახელის **შ ა ბ ა ი ნ ი ო ნ ი ს** ნარმოშობა.

უნდა ვიგულისხმოთ, როგორც თბილისელი სოყოს მაძიებლები, პარიზეეე

ნიკოლოზ იოსებიძე

ქუხრანისუბური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული გურიაში

ვიყავი მოწმე,
ვნახე პირადად,
ჩაის საკრეფად
მეჩაიე
ნამგალს პირავდა!..
ვეებერთელა გოდორი რომ
გადაყირავდა,
ფეხზე წამოხტა პუნქტის გამგე
(ადრე გრგვინავდა!).
ჩემდა საოცრად
კი არ განწყრა,
კი არ განრისხდა, —
გადასაყრელი
ჩაუთვალა
პირველ ხარისხად!
ვიყავი მოწმე,
გეფიცებით, ვნახე პირადად,
აფხაზეთსა და
აჭარაში,
ნასაკირალთან, —
ფოთოლს ტოტისგან
ვერ არჩევდა
(ადრე გრგვინავდა!).

X X X

— გამარჯობა!
— როგორა ხარ?
— როგორც დაგიბარებია!
— სოფელში რა ამბებია?
— ისევ „ლია კარებია“,
ყველას თავის აღსაზრდელის
გული გაუხარებია,
თოხი, ბარი სათოფეზეც
კი არ გაუკარებია,
ვოლოგდაში სასწავლებლად
შვილი გაუპარებია!..
— კიდევ, კიდევ?!
— თავმჯდომარეს
ბოსტნეული პყვარებია,
ბალ-ვენახი აუჩეხავს,
კიტრი გაუხარებია!
— მერე, კაცო, მერე, მერე?!
— მერე, კაკლებს დარევია,
„დრუჟბა“ ხერხით მოუჭრია
საუკუნოვანი ტევრი,
სულ პირწმინდად მოუთხრია
სიმდიდრე და განძი ერის!..
— მერე, მერე?!
— მერე, რა და...
ცენტრში დაუბარებიათ,
სპეციალურ კომისიას
მაგრად გაუმწარებია,
ცივ საკანში შეუგდიათ,
დაუკეტავთ კარებია!..

...ისე, ამინდს არა უშავს,
მშვენიერი დარებია!

სალამი

ფეხდაფეხ მოსდევდა ელმავალს
ბალახი,
წუმპე და ტალახი,
ნაგავის მთები!..
გათენდა! გამოჩნდა
ფანჯრიდან ქალაქი!
ყველას და ყველაფერს
სალამი ჩემი!
ჰაერი!.. ჰაერი!..
თბილისის ჰაერი!..
მე სუნთქვა მომპარა სმოგმა!..
ქალაქის ჰაერში
რამდენი შხამია,
მგონია, არ იცის ზოგმა!
მე მაინც თბილისის
მიზიდავს ჰაერი,
ვიცი, ეს ფილტვების მტრობაა,
უსიამოვნოა ეს რაღაცნაირად,
ეს უსიამოვნო გრძნობაა!
პირდაპირ არ ვიცი,
არ ვიცი, თუ როგორ,
თუ როგორ გამოვთქვა,
რაც მინდა —
ნეტავ თუ ოდესმე,
ვინმე ან რაიმე,
ამ ჰაერს განმენდს ან
გაწმინდავს!..
მწყურია ავფრინდე
ჰაერში ორბივით!
ჰაერი მწყურია საღი!
ნეტავ თუ ოდესმე
თბილისი გახდება
ოცნების ქალაქი — ბაღი!

და ძაღლი ყმუის...

ქალაქს ურიცხვი მოაწყდა
ძაღლი,
ცოტაც და... საქმე
გაქცევაზეა!..
ძილს უფრთხობს ყეფა
ხალხს, შრომით დაღლილს
და თუ ვის უკბენს,
არჩევაზეა!..
ვიღაცა საქმეს
გარშემო უვლის,
ვიღაცა მართლა
მართლის წილია,
ვიღაცა ურცხვად
ახეთქებს ტყუილს:
თითქოს ჰო, თითქოს
იჭერენ ძაღლებს!..
მე კი მგონია,
კი არ იჭერენ,
იმ ქოფაკ ძაღლებს
ხელს არვინ ახლებს!..
და ძაღლი ყმუის,
ყმუის და ყმუის!..
ვიღაცა ტყუის,
ვიღაცა ტყუის!..



ბათუმს ქათქათას!..

ნახ. რ. სანაღირაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქმიანი“ სხდომები“

გაფართოებულ სხდომაზე
გააქვს საკითხი ნინის:
„ქათმის ტვინს რამდენ პროცენტით
ჯობია იხვის ტვინი“.
აქტუალური საკითხი
დიდ დაფიქრებას ითხოვს,
ხმას ვერ იღებენ, სუფველას
ენა წაერთვა თითქოს!..
— მდა! — ამბობს ერთი, — ამ საკითხს
შესწავლა უნდა მყარად:
ეგ იხვი ბოლო დღეებში
ყიყინებს ბატის დარად!
— რას ამბობ?! — ყვირის მეორე,
— შენ, კაცო, ჰგავხარ მოცლილს!
იხვის ტვინს, მოვკვდე, თუ არ ჯობს
ქათმის შემწვარი ხორცი!
— აქ ტვინზე ვმსჯელობთ და არა... —
გულწრფელად ბრაზობს ნინი.
ცხარე კამათში გადადის
სხდომა — მწუხარე ლხინი!
ექვსი საათი ისმენდა
დარბაზი აზრთა ჭიხვინს,
დაბოლოს, ხაწუალ ქათამზე
წინ დააყენეს იხვი!
ქათამმა თავში იტაცა
ბრეკალებიანი „თათი“!..
რას აჯობებდა?! — იხვს თურმე
პროტექტორობდა ბატი!..
ხვალ ინდაურის საკითხი
გააქვთ თერთმეტზე, ღამით
და მე დარბაზში წინასწარ
დაჯავშნული მაქვს სკამი!..

ჯემალ კვერენჩხილაძე

სამძიმარი ანონიმებს

„ANONIMI სხვათა სიტყვაა...“ — ასე დაიწყებდა სულხან-საბა თავისი „სიტყვის კონის“ მეორე შევსებულ გამოცემას, მაგრამ ქართულად რომელ ცნებას მიუსადაგებდა — ზურგიდან მსროლელს, ჯაშუშს, ფუნის მჭამელსა თუ ბოროტ ტაკიმასხარას, არ ვიცი.

ის ვიცი, რომ მძიმე დრო დაგიდგათ, ჩემო „მეგობრებო“! ჩასაფრების, ხელის კვრის, ორმოს თხრის თქვენეულ მეთოდოლოგიას ყველი გაუვიდა! „მაინც ეს რა ბრძანებულება გამოსცა პრეზიდიუმმა — კაცის გაფუჭება გინდოდეს ინკოგნიტოდ და ვერ გააფუჭო, გაგონილა და თქმულა?! ეს არის დემოკრატია და საჯაროობა?“ — წუწუნებთ თქვენ, იმ უმსგავსთა გადმონაშთები, რომელთა უსახელო წერილებს არცთუ ისე შორეულ წარსულში ბევრი პატიოსანი და ალალ-მართალი ადამიანი შეენირა!.. „ახლა იყოს ის დრო, გაჩვენებდით სეირს!“ — ჩემს ყურს სწვდება თქვენი სინანულიანი ქადილი. ვერაფერს გიშველით! ის დრო ისტორიას ჩაბარდა და, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა ბრძანა, აღარ განმეორდება! ასე რომ, მიიღეთ ჩემი სამძიმარი! გულწრფელად თანაგიგრძნობთ, ჩემო „მეგობრებო“, რადგან მეცოდებით — ფრთები შეეკვეცა თქვენს შემოქმედებას!

საინტერესო კია ანონიმის ტიპი. სოციოლოგების შესწავლის საგანს მე არ განვჩხრეკ თავით ბოლომდე, მაგრამ თვალწინ მიდგას ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ზოგიერთი მათგანი (თვალწინ მიდგას — გვერდზე აღარა). ანონიმი სირაქლემის პრინციპით იმალება, ის კი არ იცის, რომ ყველა ბოროტმოქმედი რაღაც კვალს ტოვებს დანაშაულის ადგილზე. ანონიმი შეიძლება გადაგეხვიოს კიდეც, შენი სადღეგრძელოს თქმაში დაიხარჯოს, შენგან გაწეული სიკეთეც ახსოვდეს, მაგრამ მაინც ძაღლის კუდივით არის — არ გასწორდება! ეს არის ლიტერატურული პროფანი, უნიჭო, ერთი მხრივ, მეორე მხრივ — ოჯახური მოუწესრიგებლობით გაბოროტებული ტიპი. ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობ, ყველამ იცის, ვინ არის „მწერალი“.

ზოგიერთი მათგანი პროფესიონალია. აიღო ასეთმა ჩვენი ადგილობრივი გაზეთი. ამოჭრა იქ დაბეჭდილი ჩემი ერთი მეგობრის ვითომ ანტისაბჭოთა ლექსი, შემდეგ კოხტად ცალკე ამოჭრა გაზეთის სახელწოდება თავისი ფირმითურთ და აფრინა ზემოთ. აფრინა და დაგვიწყო შორიდან თვალთვალი (არა, შორიდან არა — შორიახლოდან), რას უზამდნენ რედაქციას, ავტორს!.. რა მოხდებოდა!.. არაფერიც არ მომხდარა! ეს იყო ხმინდა წყლის პროვოკაცია, რადგან სხვა სახელს ვერ დაარქმევ იმის ძიებას, რაც ნაწარმოებში არ წერია. ადგილობრივი ბიუროკრატები დაფრთხნენ ცოტა ხანს და შემოქმედნი ანერვულეს მცირე ხნით. ანონიმის სამწუხაროდ, „დამნაშავეთა“ მიმართ „ადმინისტრაციული ზომები“ არავის მიუღია.

ანონიმის კიდევ ერთი ტიპი არსებობს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილთა შორის შუღლის ჩამოგდებას ლამობს. მისი გაბოროტების მიზეზი რაღააო, ვიცი, შემეკითხება პატივცემული მკითხველი და ვუპასუხებ: სისხლი! სუფთა ქართული სისხლი არა აქვს ასეთს და არც შეიძლება ჰქონდეს! მადლობა ღმერთს, რომ მისთანანი ძალიან ცოტანი არიან ჩვენს დალოცვილ საქართველოში, რომელიც ინტერნაციონალური მეგობრობის ჭეშმარიტი კერაა!

მიიღეთ ჩემი სამძიმარი, სამივე ტიპის „მწერლებო“, ანონიმური „მოღვაწეობის“ აკრძალვის გამო! რას იზამთ, „მეგობრებო“, ყველაფერი ხდება! იმედს მაინც ნუ დაკარგავთ, იქნებ რომელიმე თქვენგანმა შეძლოს რაციონალიზატორული წინადადების დანერგვა „ზურგიდან სროლის ახალი მეთოდიკის შესახებ“!

ამბობენ, ჰონორარი იზრდებაო!..

ჯემალ ინჯია
(ქ. გორი)

ბავშვური ნოდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ლაპარაკობენ ადამიანები?

ზღაპარი

ეს იყო ძალიან ძველად, აი, მაშინ, დედამიწა რომ პირველად დაბრუნდა და სიცოცხლემ გაშალა ფრთები. მაშინ ყველა სულდგმული ლაპარაკობდა; ასე გასინჯეთ — ცხოველებიც, თევზებიც, ყვავილებიც და ცის ნამიც. ყველას ერთი ენა ჰქონდა; წარმოუდგენელია, მაგრამ ასე იყო. და ერთ მშვენიერ დღეს, როცა მზე ყვავილებს ემუსაიფებოდა, მოხდა მოულოდნელი: კაცმა კაცი მოკლა!.. სიკვდილი მაშინაც იყო, მაგრამ ყველა თავისი დღით კვდებოდა. შეწუხდა მამა-ღმერთი და ანგელოზები გამოგზავნა დედამიწაზე ამბის გასაგებად. ანგელოზებმა ვერაფერი გაუგეს ადამიანებს და ყურებჩამოყრილნი ეახლნენ გიორგის. მაშინ ღმერთი განყრა და თვითონ იხმო თავისთან ყაყაჩო, უშობელი, ბზეწვია და მკვლელი. ჯერ ყაყაჩო იხმო:

— სიმართლეს მეტყვი, რატომ მოკლა კაცმა კაცი?

ყაყაჩომ დაიმორცხვა, მუხლებამდე ჩამოიწია წითელი კაბა.

— სიმართლეს გეტყვი, ყვავილები მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობენ. ერთი ბარის დადება მიწაზე წაეკიდნენ ძმები. უფროსმა ძმამ ბარი დაარტყა უმცროსს და თავი გაუხეთქა!..

ღმერთი ჩაფიქრდა:

— საოცარი არიან ადამიანები! უშობელს მიხმეთ!

უშობელი დიდი და ნყლიანი თვალებით შეჰყურებდა ღმერთს.

— სიმართლეს მეტყვი, რატომ მოკლა კაცმა კაცი?

— მე იქვე ვძოვდი, მიწის ნაკვეთს ღობავდნენ ადამიანები. მერე ჩხუბი მოუვიდათ სულ პატარა მიჯნაზე. მოუქნია ერთმა ბარი და თავი გადუხსნა მეორეს!.. სხვა არაფერი ვიცი, უფალო!

მერე ბზეწვიას უხმეს.

— აბა, ბზეწვია, რატომ მოკლა კაცმა კაცი?

— მე, უფალო, ბუდე მაქვს აკაციაზე, ადამიანებთან ახლოს. ჩემს ბარტყებს იავნანას ვუმღეროდი, ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა. ადამიანები ჩხუბობდნენ: სამანი იქით გადასწიეო!.. ჩემი ბზენვიებიც კი არ დაეტეოდნენ იმ ციდა ადგილზე! იჩხუბეს და იღრიალეს, მერე ძმამ ძმას ბარი ჩაათხლიშა გამეტებით... მე თვალთ დამიბნელდა, ბარტყებს კალთა გადავაფარე...

ბოლოს ძმის მკვლელი შემოიყვანეს ღმერთთან. წვერმოშვებული და თვალებამღვრეული კაცი თავჩაღუნული იდგა.

— აბა, რატომ მოკალი კაცი? — იკითხა ღმერთმა.

— მე არ მომიკლავს!.. ვიჩხუბეთ, გამოიწია, ფეხი დაუცდა და ქვას დაარტყა თავი!..

— რაზე იჩხუბეთ?

— მიწაზე.

— მიწა არ გყოფნით?

— ჩემს მიჯნაზე იყო გადმოსული!..

— რატომ დაარტყი ბარი, ის ხომ შენი ძმა იყო?

— არ დამირტყამს!.. ეგ ერთი ძმა მყავდა!..

— ცრუ ხარ შენ, ადამიანო, ცრუ! — განყრა ღმერთი და ცოტა უცნაური, მაგრამ ღმერთების საკადრისი გადაწყვეტილება მიიღო.

— ნადით ყველანი და დღეიდან მხოლოდ ადამიანები ილაპარაკებენ.

— რატომ მარტო ადამიანები? — გაიოცეს ანგელოზებმა.

— იმიტომ, რომ ადამიანები ცრუობენ!.. სიმართლეს ენა არ სჭირდება, მცენარეები, ფრინველები და ცხოველები ისედაც გაუგებენ ერთმანეთს!!. ადამიანებს კი სასჯელად ისიც ეყოფათ, რომ ილაპარაკებენ და იცრუებენ!

მას შემდეგ ადამიანები ლაპარაკობენ მხოლოდ!

დიალოგები

— ჩააბარე?
— ერთი ქულა დამაკლდა!
—ვერ მიუმატე მერე?

-:-:-

— რა წერეთ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში?
— „დარისპანის გასაჭირი“.
— ხომ არ გაგიჭირდა?
— არა, დარისპანოვიჩი დამეხმარა!

ინსპექტორი

არასრულწლოვანთა ინსპექტორმა მოზარდი დაიკავა. ჩანთა გამოართვა და რვეულები გადასინჯა.
— რატომ არა ხარ სკოლაში?!. რა გვარი ხარ? — იკითხა მკაცრად.
— გელაშვილი. — უპასუხა ბიჭმა.
— სტყუი! აქ რომ გეომეტრია აწერია?!.

გარანტია

— ავტომანქანა მოგპარეს?
— მომპარეს, მაგრამ მივაგენი!
— კიდევ რომ მოგპარონ, არ გეშინია?
— სრულებითაც არა, წარწერა გავუკეთე: „გამოსყიდულია!“

გულმემატკივარი

— რა გვეშველება?! ჩვენი გარაჟის უფროსი გაბმით სვამს!..
— მერე, შენ რა გენაღვლება?
— როგორ თუ რა?! ვინ რამდენს აძლევს, ველარ იხომებს!..

ზოფრის ლექსიკონი

მაწყვეტარა-გამანანილებელი— ნერვების დამწყვეტი სიდედრი.
ანთების კოჭი — ცოლისდა.
ფრთა — მეზობლის გოგო.
ტალონი — ხან რომ იხვრიტება და ხან არა.
სამუხრუჭე სითხე — ცრემლები.
მაყუჩი — ავტოინსპექტორი.
ნინა ხიდი — „ხაზეინი“ (წინ რომ გადაგეხიდება).
უკანა ხიდი — გარაჟის გამგე.
გაგრილების სისტემა — ადგილკომის თავმჯდომარე.
კონტაქტები — სახაზო კონტროლი.

უთქვამთ... უთქვამთ... უთქვამთ...

გარდაქმნაზე

თვალი ქორის, მადა მგლისა,
იცის ყველა, გარდა ქმნისა!

ნარკომანიაზე

ზღვას გაცურავს მარტო ტიკით,
თუ იყნოსა ნარკოტიკი!

ლექციაზე

დარბაზში ყვინთავს ძია ლაზარე,
აქეთ პლაზმაა, იქით — ლაზერი!..

ზოგ კოოპერატივზე

კოოპერატივი — მოტორიანი ტივი.

კრიტიკაზე

კრიტიკა — იწყება იქიდან.

ძველმოდური და ახალმოდური გვარები

ყველუჭმელაშვილი
ცარიელაშვილი
პურიჭამიაშვილი
მუნჯიშვილი
მორჩილაძე
ცოტაძე
ყრუაშვილი
ამყოლაძე
.....

დიალოგი მავან-მავანთან

მწარეა ჩვენი ცხოვრების წიგნი —
არეული აქვს თავი და ბოლო,
და თუ იოლად აქ გზა-კვალს იგნებ,
მაღალი ღმერთის წყალობით მხოლოდ!
ამ ღმერთს სახე აქვს ხანდახან ბიძის,
ყოველისმძლე ბიძის სიტყვის და „ბლატის",
ვისი სურვილით სამყარო იძვრის,
იმსხვრევა ყველა კერპი და ხატი!..
ამ ღმერთს სახე აქვს ხანდახან მამის,
შანხიან მამის და მისი ჯიბის,
და იყიდება ჩინი და სკამი,
საფეხურები იმ დიდი კიბის,
რომელსაც ელტვის ოდითგან ყველა,
და თუმცა ცრემლიც აწვიმს და ათოვს,
ფერს არა უცვლის,
მაცდურად ელავს
და თვალსაწიერს უხატავს ფართოს, —
მას, ვისაც დიდი ნათელი ადგას
მაღალი ღმერთის და შნოც აქვს ნატვრის!..
შენც მათ საამოდ ტაშს უკრავ, რადგან
დაიმსხვრა შენი სიმართლის ხატიც!
შენც სცან საწუთროს კანონი ავი,
და რაკი ელტვი მზიან სართულებს,
უარყავ ფიქრი,
დახარე თავი,
დახარე თავი და აკანტურე!

მზია ჩხეტიანი

გაკვრით ნათქვამი

● **იცი,** რა არის საჯაროობა? ჰოდა, ხმა გაკმინდე!

● **სჯობს** მოკვდე დივანზე მჯდომი, ვიდრე იცოცხლო რიგებში დგომით!

● **ვინ** არის მომხრე?.. ვინ — წინააღმდეგი?.. თავი ვინ შეიკავა?.. ვის მიუფურთხებია ყველაფრისთვის?..

● **ულიმლამო** ნაწარმოებთა სიუხვე სინამდვილის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა.

● **რიგი** — ეს ერთ-ერთი სახესხვაობაა ინტერესების მიხედვით არაფორმალური გაერთიანებებისა.

● **ჩვენთან** ყველაზე სტრიქონებშუა მკითხველი ხალხია მთელ მსოფლიოში.

● **ელექტრომონტიორის** ჩანაწერი: „ათი წელი იზოლაციით".

● **როგორ** შევძლოთ არაფერი ვთქვათ, როცა სათქმელი არაფერი გვაქვს?

ჟურნალი „კროკოდილი"

დასვენება შვებულებაში

ჩვენი განყოფილების თანამშრომლებმა ჩემი შვებულებაში გასვლა პატარა ვახშმით აღნიშნეს. მახსოვს, რესტორანში რომ შევედით. მახსოვს დიდი ყანწი. სამწუხაროდ, მეტი აღარაფერი მახსოვს. მეორე დღესვე შევიძინე მატარებლის ბილეთი ჩიბათამდე. სანამ საჩხერის „ელექტრიჩკა" ჩამოდგებოდა, მანამ სრულიად შემთხვევით ერთ ძველ ნაცნობს გადავეყარე. მახსოვს, შევედით ვაგზლის ბუფეტში. მახსოვს განსაკუთრებული სასმისი. სამწუხაროდ, მეტი აღარაფერი მახსოვს. დღემდე ვერ გამიგია, სოფელში როგორ ჩავაღწიე. მახსოვს, მეორე დღეს ჩემი ბავშვობის ამხანაგი ჩამოვიდა ფოთიდან. მახსოვს დიდი ყანწი. სამწუხაროდ, მეტი აღარაფერი მახსოვს. მახსოვს, რომ მოგვიანებით ჩამოვიდნენ ჩემი ბავშვობის ამხანაგები თბილისიდან, რუსთავიდან, ზუგდიდიდან, რაჭიდან..

ხვალ შვებულება მითავდება. ცოტას დავისვენებ.

ავთანდილ ჭიმერიძე



— თუ ძმა ხარ, გამახსნევინე აქ საბალახო კოოპერატივი, თქვენ მაინც ვერაფერში ვერ იყენებთ!..

7-88

88-495



ნახ. ი. გვილავასი

წელიწადში იტალიის გზებზე ხდება სულ ცოტა 4000 უაჩაღური თავდასხმა, რომლებსაც ხჩადიან, როგორც მათ ალენინზე უწოდებენ, „შარაგზის უაჩაღები“. — მაფიის თავისებური ხალხსხვაობა.

გაზეთებიდან

ЦЕНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

495
15.VIII 1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №15 (1769), აგვისტო. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 5. 07 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 08. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი **1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ** ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14, შეკვ. 1746 უე 04781 ტირაჟი 137000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137